აუტიზმის მქონე პირების მიმართ დამოკიდებულებას და ემპათიის უნარს შორის კავშირი

ნინო სამურაძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახლმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტზე კლინიკური ფსიქოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

კლინიკური ფსიქოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნინო ჯავახიშვილი,
პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი,2018

აბსტრაქტი

აუტიზმის მქონე პირებისადმი დამოკიდებულებას და ემპათიის უნარს შორის კავშირი იმ ჯგუფებში, რომლებსაც ხშირი კონტაქტი აქვთ აუტიზმის მქონე ბავშვებთან ან მოზარდებთან, წარმოადგენს წინამდებარე კვლევის საგანს. შესაბამისად, გამოყოფილია ორი ცვლადი: დამოკიდებულება და ემპათია.

მონაცემები შეგროვდა ორი ჯგუფის წარმომადგენლებთან: აუტიზმის მქონე ბავშვთა მშობელი/მზრუნველი და აუტიზმის მქონე ბავშვებთან/მოზარდებთან მომუშავე პროფესიონალი. თეორიული დაშვებით, აღნიშნულ ცვლადებს შორის უნდა დაფიქსირებულიყო დადებითი კავშირი, აუტიზმის მქონე პირთა მიმართ დამოკიდებულების და ემპათიიის უნარის კვლევაში კი ორივე ჯგუფს მსგავსი შედეგები უნდა ჰქონოდა.

კვლევის მიზნებია:

1. ცვლადებს შორის კავშირის დადგენა
2. ორი ჯგუფის შედეგებს შორის განსხვავების პოვნა

ჰიპოთეზის გადასამოწმებლად, კვლევა ჩატარდა ნეიროგანვითარების ცენტრში. მასში მონაწილეობა მიიღო აუტიზმის მქონე 30 ბავშვის მშობელმა/მზრუნველმა და 30 აუტიზმის მქონე ბავშვებთან/მოზარდებთან მომუშავე სპეციალისტმა.

ემპათიის და დამოკიდებულების კვლევის შედეგებს შორის განსხვავების არსებობის გადამოწმებისას ორ სხვადასხვა ჯგუფში: მშობლების და პროფესიონალების შედეგებს შორის სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავება არ დაფიქსირდა. ორივე ჯგუფის შედეგებმა აჩვენა აუტიზმის მქონე პირების მიმართ სოციალური მიმღებლობა და ემპათიის მაღალი მაჩვენებელი. შესაბამისად, დაშვებული ჰიპოთეზა დადასტურდა.

ემპათიის უნარს და აუტიზმის მქონე პირებისადმი დამოკიდებულებას შორის კავშირის არსებობის გასაგებად, კორელაციური კვლევის შედეგად დაფიქსირდა დადებითი კავშირი, რაც გულისხმობს, რომ ერთი ცვლადის ზრდა კავშირშია მეორე ცვლადის

ზრდასთან, ანუ, ორივე ცვლადი ერთი და იგივე მიმართულებით იცვლება. მიღებული შედეგიდან გამომდინარე, დაშვებული ჰიპოთეზა გამართლდა.

საძიებო სიტყვები: ემპათია, დამოკიდებულება, აუტიზმი, აუტიზმის მქონე ბავშვების მშობლები, აუტიზმის მქონე ბავშვებთან მომუშავე პროფესიონალები.